

დამაზუსტებელი კითხვები საქმეზე „რანერ ბრაუნი ელდის წინააღმდეგ“

(საჩივარი № 913/22)

დაზუსტების შესახებ ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც არ არის განხილული შემდეგ პუნქტებში, მხარეებმა მიიჩნიეს ზედმეტად, რამდენადაც შეჯიბრის მიზნებისათვის რელევანტური ინფორმაცია მოცემულია საქმის ფაქტობრივ გარემოებებში ან წარმოადგენს მხარეთა განხილვის/მსჯელობის საგანს.

1. როდის გაიმართა დემონსტრაცია?

დემონსტრაცია გაიმართა 13 მაისს. შესაბამისად, პარა. 2 -ში 13 ივლისის ნაცვლად უნდა ეწეროს 13 მაისი, ხოლო პარა 22-ში 13 აგვისტოს ნაცვლად უნდა ეწეროს 13 მაისი.

2. ჰქოდათ თუ არა ინფორმაცია ელდის უწყებებს დაგეგმილი დემონსტრაციის შესახებ და თუ კი, რა იყო ამ ინფორმაციის წყარო?

13 მაისის დემონსტრაციის გამართვის შესახებ ორგანიზატორებმა წინასწარ აცნობეს ელდის შესაბამის უწყებებს.

3. რამდენი დემონსტრანტი მონაწილეობდა 13 მაისის მთავარ აქციაზე?

მომჩივნის და მისი ორგანიზაციის მიერ გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობდა რამდენი ათეული უფლებადამცველი და აქტივისტი. ხოლო, „ნამდვილ მამაკაცთა კავშირის“ მიერ ორგანიზებულ კონტრაქციაში მონაწილეთა რიცხვი აჭარბებდა 10,000 ადამიანის.

4. რა ითვლება ელდის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით პირის დაზარალებულად ცნობის საფუძვლად, ანუ დაზარალებულის სტატუსის მინიჭების რა მოთხოვნები არის გათვალისწინებული კანონმდებლობით.

პირისთვის დაზარალებული სტატუსის მინიჭებისთვის საჭიროა საქმეზე გამოძიების მწარმოებელი უწყების მიერ დანაშაულებრივი ქმედების ფაქტის დადგენა კონკრეტული პირის მიმართ.



elsa

The European Law Students' Association
GEORGIA

5. ქეისის ბოლოს მითითებულია მოსამართლის შეკითხვები, უნდა განვიხილოთ ჩვენს სარჩელსა თუ შესაგებელში, თუ უბრალოდ მხედველობაში უნდა მივიღოთ ზეპირი შეჯიბრებითობისას?

მითითებული კითხვები დასმულია მოპასუხე სახელმწიფოს მიმართ, თუმცა მხედველობაში უნდა მიიღოს მომჩივანმა მხარემაც. ეს კითხვების განსაზღვრავს საქმის ფარგლებს. ანუ, მხარეებმა (მომჩივანმა და მოპასუხემ) წერილებითი პოზიციები უნდა მოამზადონ აღნიშნული კითხვების საფუძველზე და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. ეს ყველაფერი ასევე ზეპირი შეჯიბრის მიმდინარეობისას უნდა იყოს გათვალისწინებული.

6. ქეისში ბუნდოვანია მომჩივანმა მიმართა თუ არა საქალაქო სასამართლოს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე.

მომჩივანს წერილობით ეცნობა უარი დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე. მას არ მიუმართავს საქალაქო სასამართლოსთვის და პირდაპირ შეიტანა საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.



elsa

The European Law Students' Association

GEORGIA